სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 13

2014 წლის 10 თებერვალი

ქ. თბილისი

,,აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" 2013 წლის კონკურსში წარმოდგენილი პროექტების კონკურსიდან მოხსნის შესახებ

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 ნოემბრის N181/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF - Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) მიერ პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის" ფარგლებში ორგანიზებული კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის 26 ნოემბრის N70 ბრძანებით გამოცხადებული ,,აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" 2013 წლის კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს სამეცნიერო - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის 2014 წლის 6 თებერვლის N02/14 წერილისა და სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 16 იანვრის N5 ბრძანებით შექმნილი ტექნიკური ექსპერტიზის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის 2014 წლის 16 იანვრის სხდომის ოქმის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის 26 ნოემბრის N70 ბრძანებით გამოცხადებული ,,აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" 2013 წლის კონკურსიდან, კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოხსნილ იქნას წარმოდგენილი (ა(ა)იპ - აგრარული უნივერსიტეტის, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტები;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(მის: დავით აღმაშენების ხეივანი მე-12 კმ, №6)

სულხან სისაური